მუშათა **და** **მოსამსახურეთა** **საშუალო** **ხელფასმა** **სახალხო** **მეურნეობაში** **შეადგინა** 90,2 **მილიონი** **და** **ერთ** **წელიწადში** 2,3 **მილიონით,** **ანუ** 2,5 **პროცენტით** **გაიზარდა.**

1970 **წელს,** **ისევე** **როგორც** **წინა** **წლებში,** **უმუშევრობა** **ჩვენს** **ქვეყანაში** **არ** **ყოფილა.** **ცალკეულ** **დარგებსა** **და** **რაიონებში** **იგრძნობოდა** **მუშახელის** **ნაკლებობა.**

მუშათა **და** **მოსამსახურეთა** **საშუალოთვიერმა** **ფულადმა** **ხელფასმა** **სახალხო** **მეურნეობაში** **შეადგინა** 122 **მანეთი** **და** 4 **პროცენტით** **გაიზარდა;** **ხელფასმა** **მოხმარების** **საზოგადოებრივი** **ფონდებიდან** **მისაცემლებისა** **და** **შეღავათების** **დამატებით** **შეადგინა** 164 **მანეთი,** **მაშინ** **როცა** 1969 **წელს** 158 **მანეთი** **იყო.** **კოლმეურნეთა** **მრომის** **ანაზღაურება** **გაიზარდა** 6,8 **პროცენტით.**

მისაცემლებმა **და** **შეღავათებმა,** **რომლებიც** **მოსახლეობამ** **მიიღო** **მოხმარების** **საზოგადოებრივი** **ფონდებიდან,** **შეადგინა** **დაახლოებით** 64 **მილიარდი** **მანეთი** **და** **წინა** **წელთან** **შედარებით** 7,3 **პროცენტით** **გაიზარდა.** **ამ** **ფონდების** **ხარჯზე** **უზრუნველყოფილი** **იყო** **უფასო** **განათლება;** **სამედიცინო** **დახმარება,** **პენსიების,** **დახმარების,** **სტიპენდიების** **გაცემა,** **სანატორიუმებისა** **და** **დასასვენებელი** **სახლების** **უფასო** **თუ** **შეღავათიანი** **საგზურები,** **ფასიანი** **შვებულებანი,** **სბავშვო** **ბაღებისა** **და** **ბაგების** **შენახვა** **და** **სოციალურ-კულტურული** **მომსახურების** **სხვა** **ფორმები.** **კოლმეურნეთა** **მესამე** **სრულიად** **საკავშირო** **ყრილობის** **გადაწყვეტილების** **შესაბამისად** **შემოღებულია** **კოლმეურნეთა** **სოციალური** **დაზღვევა,** **რომელიც** **ითვალისწინებს** **დახმარების** **გაცემას** **დროებითი** **შრომისუუნარობის** **გამო** **და** **სოფლის** **მშრომელთა** **სანატორიულ-საკურორტო** **მომსახურებას.**

მშრომელთა **რეალური** **შემოსავალი** **ერთ** **სულ-მოსახლეზე** **გაანგარიშებით** **ერთ** **წელიწადში** 5,2 **პროცენტით** **გაიზარდა.**

მოსახლეობის **ანაბრები** **შემნახველ** **სალარობაში** **გაიზარდა** **და** **წლის** **დამლევისათვის** **შეადგინა** 46 **მილიარდ** **მანეთ** **ფასადებრების** **რიცხვმა** 80 **მილიონს** **მიაღწია.**

სახელმწიფო **და** **კოოპერაციული** **ვაჭრობის** **საცალო** **საქონელბრუნვამ** **შეადგინა** 153,6 **მილიარდ** **მანეთ** **ფასადებრების,** **ფასადარ** **ფასებში,** **გაიზარდა** 7,4 **პროცენტით.**

სახელმწიფო **და** **კოოპერაციულ** **ვაჭრობაში** **ცალკეული** **საქონლის** **გაყიდვის** **მოცულობა** **ასე** **შეიცვალა:**

	გაყიდვა 1970 წელს პროცენტობით 1969 წლის ფასებით
პურის პროდუქტები	101
ხორცი და ხორცის პროდუქტები	106
თევზი, ქაშაყი და თევზეული	103
კარაქი	105
მცენარეული ზეთი	102
მოუხდელი რძის პროდუქცია	106
ყველი	102
კვერცხი	118
შაქარი	106
საკონდიტრო საქონელი	107
ჩაი	110
კარტოფილი	107
ბოსტნეული	114
ხილი	118
ციტრუსები	115
ტანსაცმელი, საცვლები და ქსოვილები	105
ტრიკოტაჟის ნაწარმი	110
წინდები	108
ტყავის ფეხსაცმელი	107
ფაიფურ-ქაშანურისა და მინის ჭურჭელი	109
საპონი	94
სინთეზური სარეცხი საშუალებანი	111
ავეჯი	109
საკერავი მანქანა	103
მაცივარი	115
სარეცხი მანქანა	96
ელექტრომტვერსასრუტი	107
საათი	105
ფოტოაპარატი	113
მოტოციკლი და მოტოროლერი	106
ველოსიპედი და მოტოველოსიპედი	104
რადიომიმღები და რადიოლა	106
ტელევიზორი	107
მსუბუქი ავტომობილი	139

მიუხედავად, **იმისა,** **რომ** **საქონელბრუნვა** **მნიშვნელოვნად** **გაიზარდა,** **მოსახლეობის** **მოთხოვნილება** **ხორცზე,** **ქაშაყსა** **და** **ზოგიერთ** **სამრეწველო** **საქონელზე** **მოლიანად** **ვერ** **კმაყოფილდებოდა.**

მოსახლეობისათვის **გაწეული** **საყოფაცხოვრებო** **მომსახურების** **მოცულობა** 1969 **წელთან** **შ

საბჭოთა კავშირ-სირიის მრთოგლივი კომუნიკე

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით 1-8-თებერვალს სსრ კავშირში ოფიციალური მეგობრული ვიზიტით იყო სირიის არაბთა რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა პრემიერ-მინისტრი და თავდაცვის მინისტრი, არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის დროებითი რეგიონალური ხელმძღვანელობის წევრი ჰაფეზ ასადი.

გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინისა და სირიის არაბთა რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მოლაპარაკება.

მოლაპარაკების დროს, რომელიც გულახდილობისა და მეგობრობის ვითარებაში მიმდინარეობდა, ნათქვამია საბჭოთა კავშირსა და სირიის ერთობლივ კომუნიკეში, განიხილეს სსრ კავშირისა და სირიის არაბთა რესპუბლიკის ორმხრივი ურთიერთობისა და ურთიერთსაინტერესო თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის საკითხები.

ორივე მხარემ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ წარმატებით ვითარდება საბჭოთა კავშირისა და სირიის არაბთა რესპუბლიკის მეგობრული ურთიერთობა, რომელსაც საფუძვლად უდევს თანასწორფლებიანობის, სუვერენიტეტის, ურთიერთპატივისცემის, დამოუკიდებლობისა და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპები. ისინი დარწმუნებული არიან, რომ ნაყოფიერი თანამშრომლობა პოლიტიკურ, ეკონომიურ, კულტურულ და სხვა დარგებში, რომელიც სულ უფრო მტკიცდება და ფართოვდება, შეესაბამება ორივე ქვეყნის ხალხთა ძირეულ ინტერესებს. მხარეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ წარმატებით მიმდინარეობს საბჭოთა კავშირ-სირიის ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობა. მათ დაადასტურეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი კვლავაც განავითარონ სსრ კავშირისა და სირიის თანამშრომლობა ნავთობის მრეწველობის, ენერგეტიკის, რკინიგზის მშენებლობისა და ელექტროფიკაციის დარგში საბჭოთა კავშირ-სირიის ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შემდგომი გაფართოების შესახებ 1969 წლის 10 ივლისის შეთანხმების საფუძველზე.

სირიის მხარემ გულწრფელი მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირს იმ დიდი უანგარო დახმარებისათვის, რასაც სირიის არაბთა რესპუბლიკას უწევს ეკონომიკის განვითარებაში, თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებასა და ეროვნული კადრების მომზადებაში.

საბჭოთა ხალხი, აღნიშნულია შემდეგ კომუნიკეში, დიდი სიმპათიით ადევნებს თვალს პროგრესულ გარდაქმნებს სირიის არაბთა რესპუბლიკაში და გულწრფელად ახარებს მისი წარმატებანი ახალი ცხოვრების მშენებლობაში.

საბჭოთა კავშირში მიესალმნენ არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის დროებითი რეგიონალური ხელმძღვანელობის 1970 წლის 16 თებერვრის განცხადებას იმის შესახებ, რომ ამორჩეს კვლავაც განახორციელოს პროგრესული სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნები ქვეყანაში და ანტიიმპერიალისტური კურსი საგარეო პოლიტიკაში, ებრძოლოს არაბული ქვეყნების ერთიანობისათვის იმპერიალიზმის წარმატებით მოგერიების მიზნით. საბჭოთა მხარემ გამოთქვა კმაყოფილება იმის გამო, რომ სირიის ახლანდელი ხელმძღვანელობა მზად არის კვლავაც განავითაროს მეგობრული ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან და ებრძოლოს არაბული ქვეყნებთან და ეს ბრძოლა ერთიანობის და ხელშეუხებლობის უზრუნველყოფას.

მხარეებმა აღნიშნეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მეგობრულ ურთიერთობას საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიას შორის და გამოთქვეს ერთობლივი მიზნრაფება ამ ურთიერთობის შემდგომი განვითარებისადმი.

როგორც აღნიშნულია კომუნიკეში, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სირიისა და სხვა არაბული ქვეყნების წინააღმდეგ ისრაელის აგრესიის შედეგად ახლო აღმოსავლეთში შექმნილი ვითარების განხილვას. მხარეებმა აღნიშნეს, თუ რა საფრთხეს უქმნის მშვიდობის საქმეს ისრაელის ავანტიურისტული პოლიტიკა, რომლის მიზანია ისრაელის მიერ არაბული ტერიტორიების ოკუპაციის განგრძობა. მათ აღნიშნეს, რომ ისრაელი ვერ განაგრძობდა ამ აგრესიულ და ექსპანსიონისტურ პოლიტიკას, მხარს რომ არ უჭერდნენ იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის ძალები, რომლებსაც სათავეში უდგას ამერიკის შეერთებული შტატები. ისრაელის ასეთი პოლიტიკა, რომელიც უხეშად არღვევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, აგრეთვე საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო სამართლის ნორმებს, მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის გამო. მხარეებმა გადაჭრით დაუჭირეს მხარი ინდოჩინეთის ხალხთა დამოუკიდებლობის, ეროვნული სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და ხელშეუხებლობის უფლებას.

ორივე მხარემ ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ევროპის მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას და ამ მიზნით სრულიად ევროპის თათბირის მოწვევას, თუ რაოდენ საჭიროა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კანონიერი ინტერესებისა და სუვერენული უფლებების სრული პატივისცემა. ამასთან დაკავშირებით სირიის მხარე მიესალმა სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულებათა დადებას, რომლებიც ხელს უწყობენ მთლიანად ევროპაში მდგომარეობის გაჯანსაღებას და შეესაბამებიან მშვიდობის ინტერესებს.

მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას მხარეებმა გამოთქვეს აზრი, რომ საჭიროა განახორციელონ პრაქტიკული ღონისძიებანი საყოველთაო და სრული განიარაღების, აგრეთვე მტკიცე საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებული ატომური განიარაღების მისაღწევად.

ორივე მხარეს, ნათქვამია კომუნიკეში, სირიის არაბთა რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ეს ვიზიტი საბჭოთა კავშირში მიაჩნია მნიშვნელოვან ნაბიჯად ორი ქვეყნისა და ხალხის მზარდი მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და გაფართოების გზაზე, ახლო აღმოსავლეთისა და მთელ მსოფლიოში სამართლიანი მშვიდობისათვის ბრძოლაში. (საკდესი).

ნ. მ. ხომიზურაშვილი

გარდაიცვალა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, სოციალისტური შრომის გმირი, პროფესორი ნიკოლოზ მიხეილის-ძე ხომიზურაშვილი.

ნ. ხომიზურაშვილი დაიბადა 1900 წელს ქ. თელავში. 1919 წელს წარმატებით დაამთავრა თელავის ვაჟთა გიმნაზია, ხოლო 1925 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტი პირველი ხარისხის დიპლომით. უნივერსიტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით ნ. ხომიზურაშვილი დატოვებულ იქნა ასისტენტად მებაღეობა-მევენახეობის კათედრაზე. ამავე წელს ნიჭიერი და უაღრესად შრომისმოყვარე ახალგაზრდა საქართველოს მთავრობამ მიავლინა გერმანიაში სოფლის მეურნეობის და ბიოლოგიურ მეცნიერებაში ცოდნის გაღრმავებისა და სრულყოფისათვის.

გერმანიაში ყოფნის პერიოდში იგი მუშაობდა სასელგანძმელ გერმანელ სელექციონერთან ბაურთან. უფრო გვიან კი პრაქტიკული ცოდნის გასაღრმავებლად მუშაობს საფრანგეთში. ევროპაში მუშაობის პერიოდში ნ. ხომიზურაშვილმა პირველი მეცნიერული შრომები გამოაქვეყნა გერმანულ ენაზე გენეტიკისა და სელექციის საკითხებზე.

ნ. ხომიზურაშვილი საშობლოში ბრუნდება სავსებით ჩამოყალიბებული მეცნიერი და მთელ თავის ცოდნას, გამოცდილებას ახმარს სოფლის მეურნეობის ახალგაზრდა კადრების აღზრდასა და მეცნიერულ მუშაობას. 1930 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტად იქნა არჩეული, ხოლო 1932 წლიდან საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორია. ამავე წელს მას ირჩევენ მებაღეობის კათედრის გამგედ, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა 1961 წლამდე.

1939 წელს პროფესორი ნ. ხომიზურაშვილი წარმატებით იცავს დისერტაციას სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. ამავე დროს წლების მანძილზე იგი ხელმძღვანელობს მეხილეობის სკრის საცდელ სადგურს, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სასწავლო ნაწილს, სოფლის მეურნეობის ეკონომიკა-ორგანიზაციის ფაკულტეტს დეკანატს.

1955 წელს არჩეულ იქნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ჩამოყალიბებისთანავე ღვაწლმოსილი მეცნიერი ნ. ხომიზურაშვილი მიიწვიეს მრავალწლიანი კულტურების განყოფილების აკადემიკოსად, ხოლო შემდეგ აირჩიეს ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად.

1961 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე პროფესორი ნ. ხომიზურაშვილი სათავეში ედგა მებაღეობის, მევენახეობისა და მეგვინეობის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს. მის კალამს ეკუთვნის 75-ზე მეტი მეცნიერული შრომა. მათ შორის აღსანიშნავია ისეთი კაპიტალური ნაშრომები, როგორიც არის: ქართული ენაზე პირველად გამოქვეყნებული საქართველოს ხილის ასტალები, მეხილეობის სახელმძღვანელობები და მეხილეობის ორი ტომი. ენციკლოპედიული, რომლის მთავარი რედაქტორი იყო ნ. ხომიზურაშვილი, სტუდენტების, მეხილე სპეციალისტებისა და პრაქტიკოსების სამაგიდო წიგნებს წარმოადგენენ. აღნიშნული შრომები დიდი შენაძენია საქართველოს აგრონომიული საზოგადოებისათვის.

გამოჩენილმა მეცნიერმა დიდი როლი შეასრულა საქართველოში სამრეწველო მეხილეობის განვითარების საქმეში, მისი ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით შეიქმნა მეხილეობის პირველი მძლავრი საბჭოთა მეურნეობები. ნ. ხომიზურაშვილი რესპუბლიკაში ინტენსიური მეხილეობის განვითარების ფუძემდებელია. მაღალი კულტურისა და დიდი ერუდიციის ადამიანი ფასდაუდებელ დამსახურებას უწევდა ახალგაზრდობას, უზიარებდა მას თავის ბოდიერ ცოდნას, ოჯახურ ოფლიერებას და ეროს. თავისი სანერგიანი ენერგიით, ... ერთ და „მეცნიერული" მოღვაწეობის განმავლობაში ათასობით კვალიფიციური სპეციალისტი აღეზარდა ჩვენს სამშობლოს. მისი უშუალო ხელმძღვანელობით 150-ზე მეტმა კაცმა დაიცვა მეცნიერების კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, ხოლო 20-ზე მეტს მინიჭებული აქვს მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. მის მიერ აღზრდილი ყველა ახალგაზრდა სპეციალისტი ყოველთვის მადლობის გრძნობით მოიგონებს ამაგდარ მეცნიერს ნ. ხომიზურაშვილს.

დიდია პროფესორ ნ. ხომიზურაშვილის დამსახურება მევენახეთა მსოფლიო კონგრესის მოწვადებასა და ჩატარებაში. მისი შემოქმედებითი ნიჭი აქაც გამოვლინდა. მან ინსტიტუტთან შეიქმნა უნიკალური სამეცნიერო მუზეუმი, სადაც თავმოყრილია ინსტიტუტის მეღვინეების მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის დარგში.

პროფესორ ნ. ხომიზურაშვილის შრომა დამსახურებულად დააფასეს კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ. იგი დაჯილდოებულია ლენინის ორი და შრომის წითელი დროშის ორდენებით, აგრეთვე რამდენიმე მედლით. სამშობლოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის მას მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის სამაღლო წოდება.

გამოჩენილი ქართველი მეცნიერი ნ. ხომიზურაშვილი შესანიშნავად ათვსებდა სამეცნიერო და პედაგოგიურ მუშაობას საზოგადოებრივ საქმიანობასთან, აქტიურ მონაწილეობას იღებდა პარტიულ და საზოგადოებრივ მუშაობაში. იგი იყო საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, საქართველოს სსრ მეზობელ მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების სოფლის მეურნეობის სექციის თავმჯდომარე.

ღვაწლმოსილი მეცნიერის ნ. ხომიზურაშვილის სახით საქართველოს აგრონომიულმა საზოგადოებამ დაკარგა უბადლო სპეციალისტი, პედაგოგი და მეცნიერი, თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტი.

გულისხმიერი, შრომისმოყვარე და პრინციპული ადამიანის — ნიკოლოზ მიხეილის-ძე ხომიზურაშვილის ნათელი სხეული მუდამ დარჩება მისი აღზრდილების, მეგობრებისა და ამხანაგების გულში.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი.

ნ. მ. ხომიზურაშვილის დაკრძალვის მომწყობი კომისიისაგან

სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 4 და 5 თებერვალს, საღამოს 7 საათზე განსვენებულის ბინაში (ბლეხანოვის პროსპექტი № 147).

გამოსვენება 6 თებერვალს, 3 საათზე, ტელნიკის რესპუბლიკური სახლიდან. პანაშვიდი გაიმართება დღის 2 საათზე, დაკრძალვა დიდუბის პანთეონში.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, სოციალისტური შრომის გმირი, მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი

ნიკოლოზ მიხეილის-ძე ხომიზურაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საბჭოთა კავშირ-სირიის მრთოგლივი კომუნიკე

თეატრი

დრამატული თეატრების მუშაკთა სარესპუბლიკათაშორისო თათბირი თბილისში

3 უშინ თბილისში დამთავრდა დრამატული თეატრების მუშაკთა სარესპუბლიკათაშორისო თათბირი, რომელიც ორ დღეს გრძელდებოდა.

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მცირე დარბაზში მოვიდნენ საბჭოთა კავშირის კულტურის სამინისტროს, აზერბაიჯანის, სომხეთის, მოლდავეთის და საქართველოს თეატრალური მოღვაწეები, კულტურის სამინისტროების წარმომადგენლები.

თათბირი მიეძღვნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობისათვის თეატრების მზადებას, აგრეთვე იმას, თუ როგორ მიმდინარეობს დრამატული თეატრების ხელმძღვანელობის საქმეში კულტურის სამინისტროების მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარება.

შესავალი სიტყვით გამოვიდა სსრ კავშირის კულტურის მინისტრის მოადგილე ძ. ვორონკოვი, რომელმაც აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სარესპუბლიკათაშორისო თათბირს, რომელიც განიხილავს თეატრალური ხელოვნების სადღეისო საკითხებს.

შემდეგ მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს თეატრების სამმართველის უფროსმა ბ. ივანოვმა. მან ილაპარაკა 1969-1970 წწ. თეატრალური სეზონის შედეგებსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობისათვის მზადებაზე.

თათბირზე კ. ვორონკოვმა დიპლომები გადასცა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საკავშირო კონკურსის ლაურეატებს.

მეორე ხარისხის დიპლომით დაჯილდოდა სსრ კავშირის სახალხო არტისტი რეჟისორი ვ. აჯემიანი, რომელმაც სომხეთის სუნდუკიანის სახელობის აკადემიურ თეატრში დადგა სპექტაკლი „რუსუბლიკის თავმჯდომარე".

მესამე ხარისხის დიპლომი მიიღეს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში ს. ყიფლანის პიესის „მიწის შვილების" დამდგმელმა რეჟისორებმა რუსუბლიკის სახალხო არტისტმა მ. თუმანიშვილმა და რ. სტურუამ.

ასევე მესამე ხარისხის დიპლომი მიეკუთვნა მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრს, რომელმაც წარმოადგინა პიესა „დივნიზი № 16". სპექტაკლის რეჟისორია თ. ჩხეიძე, აგრეთვე მოლდავეთის მოზარდ მაყურებელთა თეატრს, რომელმაც დადგა ა. ბუსუიოკის პიესა „იმ ცის ქვეშაც". წარმოდგენა დადგა ი. უნგურიანუმ.

წამახალისებელი დიპლომებით დაჯილდოებულია აზერბაიჯანის აზიზბეკოვის სახელობის აკადემიური თეატრის სცენაზე დადგმული წარმოდგენა ნ. პოგოდინის „საუკუნის მოთხოვნა" (რეჟისორი აზერბაიჯანის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ბ. შარიფოვი) და ვ. მაიაკოვსკის პიესის „ბადლინჯოს" დადგმა, რომელიც განხორციელდა ერევნის სახელობის დრამატულ თეატრში რეჟისორი ა. გრიგორიანის მიერ.

კონკურსის საპატიო დიპლომები გადაეცათ კიშინიოვის ჩეხოვის სახელობის რუსული თეატრის სპექტაკლს „ვირჩევ სიმამაცეს" (რეჟისორი ბ. ფალდმანი), სომხეთის მოზარდ მაყურებელთა თეატრის დადგმას „სამი ღამე" (პიესის ავტორი ი. კაზარიანი, რეჟისორი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ზ. ტატინიანი).

ჩვენი რესპუბლიკიდან საპატიო დიპლომით დაჯილდოდა რუსთავის დრამატული თეატრის წარმოდგენა — თ. ჭიღაძის „სურათები საოჯახო ალბომიდან" (რეჟისორი გ. სიხარულიძე).

პირველი ხარისხის დიპლომი გადაეცა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს, ლენინური პრემიის ლაურეატს ს. ზაქარიაძეს აგაბოს როლი-სთვის.

ბისათვის იმპერიალიზმის წარმატებით მოგერიების მიზნით. საბჭოთა მხარემ გამოთქვა კმაყოფილება იმის გამო, რომ სირიის ახლანდელი ხელმძღვანელობა მზად არის კვლავაც განავითაროს მეგობრული ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან და ებრძოლოს არაბული ქვეყნებიდან, ოკუპირებული არაბული ტერიტორიების განთავისუფლებისათვის.

მხარეებმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ევროპის მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას და ამ მიზნით სრულიად ევროპის თათბირის მოწვევას, თუ რაოდენ საჭიროა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კანონიერი ინტერესებისა და სუვერენული უფლებების სრული პატივისცემა. ამასთან დაკავშირებით სირიის მხარე მიესალმა სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულებათა დადებას, რომლებიც ხელს უწყობენ მთლიანად ევროპაში მდგომარეობის გაჯანსაღებას და შეესაბამებიან მშვიდობის ინტერესებს.

მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას მხარეებმა გამოთქვეს აზრი, რომ საჭიროა განახორციელონ პრაქტიკული ღონისძიებანი საყოველთაო და სრული განიარაღების, აგრეთვე მტკიცე საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებული ატომური განიარაღების მისაღწევად.

ორივე მხარეს, ნათქვამია კომუნიკეში, სირიის არაბთა რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ეს ვიზიტი საბჭოთა კავშირში მიაჩნია მნიშვნელოვან ნაბიჯად ორი ქვეყნისა და ხალხის მზარდი მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და გაფართოების გზაზე, ახლო აღმოსავლეთისა და მთელ მსოფლიოში სამართლიანი მშვიდობისათვის ბრძოლაში. (საკდესი).

... ...

... ...

მეცნიერება და ბუნება

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ცხოველთა სამყაროს კვლევების, რეკონსტრუქციისა და დაცვის ბიოლოგიური პრობლემების სამეცნიერო საბჭოს პლენუმები, არსებობის მთელ მანძილზე, მოსკოვსა და ლენინგრადში ეწყობოდა. ამჯერად პლენუმი საქართველოში მიმდინარეობს. აღნიშნული საბჭოს ეს პირველი გამსვლელი პლენუმია, და სასიამოვნოა, რომ ეს პირველი განსხვავებული ღონისძიება სწორედ ჩვენს რესპუბლიკაში ტარდება. დაიწყო მან მუშაობა 2 თებერვალს და დღეს საღამოს მთავრდება.

საიდან არ ჩამოსულან ამ პლენუმზე მონაწილეობის მისაღებად ბიოლოგიური მეცნიერების გამოჩენილი ადამიანები — რუსეთის ფედერაციიდან, უკრაინიდან, ესტონეთიდან, ლიტვიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, თურქმენეთიდან, ტაჯიკეთიდან, უზბეკეთიდან.

პლენუმის ორგანიზატორია, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტი. მისი მუშაობა შესავალი სიტყვით გახსნა გამოჩენილმა მეცნიერმა, აკადემიკოსმა ბ. ბიხოვსკიმ. მან გააკეთა პრობლემური სამეცნიერო საბჭოს გასული წლის მუშაობის ანგარიში. პლენუმმა მოისმინა და მოიხმენს 30-ზე მეტ მოხსენებას. ეს დიდმნიშვნელოვანი მოხსენებები, მათ გამო გამართული კამათი, საერთოდ მთელი პლენუმის შედეგები თვალსაჩინო წვლილი იქნება ბიოლოგიურ მეცნიერებათა განვითარებაში.

როგორია თქვენი აზრი პლენუმის მუშაობის შესახებ? რა გსურთ გადასცემთ, ჩვენი გაზეთის მეშვეობით, რესპუბლიკის მკრებლებს?

აი რა კითხვით მიმართა გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტმა ამ სამეცნიერო პლენუმის ზოგიერთ მონაწილეს.

ქვემოთ მოგვყავს მათი პასუხი:

ბორის ბიხოვსკი, აკადემიკოსი (მოსკოვი). პლენუმი საქართველოში წარმატებით მიმდინარეობს. საამოვნოა იმის შეგნება, რომ იგი მიმდინარეობს რესპუბლიკისა და მისი კომპარტიის სახელოვანი ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს, სკკპ XXIV ყრილობის წინ. ჩვენი ქართველი კოლეგები დიდ მუშაობას ეწევიან. საქართველოს ზოოლოგიის ინსტიტუტის ანგარიში, რომელიც ამ ინსტიტუტის დირექტორმა, ჩვენმა ქართველმა კოლეგამ, პროფესორმა ბორის ყურაშვილმა გააკეთა, არა მარტო ორგანიზაციული, არამედ მეცნიერული ღირებულების მქონეც არის. რას ვუსურვებდი იუბილიარ ქართველ ხალხს? — დიდი, თვითმყოფი კულტურის შემდგომ აყვავებას, ბედნიერებას და წარმატებას.

ბორის ყურაშვილი, პროფესორი (თბილისი). ჩვენ, ქართველი მეცნიერები, დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ამ პლენუმის საქართველოში მოწვევას. ჩვენი რუსი და სხვა კოლეგები მოძმე რესპუბლიკებიდან არა მარტო მოხსენებით და ანგარიშებით, არამედ ადგილზე საფუძვლიანად გაეცნენ ჩვენი ზოოლოგიური ინსტიტუტის სამეცნიერო სწმიანობას. მოხარული ვარ, რომ მათზე ინსტიტუტის შუშაობამ ფრიად კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ამ პლენუმმა უფრო უნდა გაღრმავოს ქვეყნის ყველა სამეცნიერო ცენტრის ბიოლოგიისა და ზოოლოგიის დარგის მუშაობის კოორდინაცია. ჩვენი ინსტიტუტი კვლავაც შეიტანს დიდ წვლილს სახალხო მეურნეობაში.

კონსტანტინ რიჟიკოვი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (მოსკოვი). მე, როგორც სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ზოგადი ბიოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელის მოადგილეს, მახარებს ქართველი კოლეგების წარმატება. საქართველოს ზოოლოგიის ინსტიტუტი მზარდი სამეცნიერო დაწესებულებაა. მის მიერ წარმოებულ კვლევებს განმაზოგადებელი მნიშვნელობა ენიჭება. ეს პლენუმი უფრო განამტკიცებს ჩვენს კოორდინაციას. მადლობა თბილისს. მოხიბლული ვართ საქართველოთი.

სერგეი შვარცი, აკადემიკოსი (სვერდლოვსკი). — ქართველი კოლეგები ამ პლენუმზე გაეცნენ მეცნიერების უახლეს მიმართულებებს პირველი წყაროდან, ესე იგი გამოჩენილ საბჭოთა მეცნიერთა მოხსენებებიდან. აქ არიან თანამედროვეობის დიდი ბიოლოგები და მათთან კონტაქტი სასარგებლო იქნება ამ პლენუმის შემდეგაც. მხურვალედ მივესალმები მზიურ საქართველოს.

გრიგოლ ბეი-ბიენკო, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (ლენინგრადი). — ჩემი ინტერესი ამ პლენუმისადმი განსაკუთრებულია, რადგან ვარ ენტომოლოგთა სრულიად საკავშირო საზოგადოების პრეზიდენტი. ჩემს ქართველ კოლეგებთან, ინსტიტუტში, აქაც, პლენუმზე, ბევრი რამ სასარგებლო ვასახე და მოვისმინე. ახლა კაცობრიობის უპირველესი პრობლემაა ბუნების დაცვა, და ჩვენც შეერთებული ძალით. უნდა შევიტანოთ წვლილი ამ საქმეში. სალამი აყვავებულ, მზიან, სტუმართმოყვარე საქართველოს!

• • •

სურათზე: სამეცნიერო საბჭოს პლენუმის მონაწილეთა ჯგუფი (მარცხნიდან): აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **მ. მუსაევი,** სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **მ. გილიაროვი,** აკადემიკოსები **ბ. ბიხოვსკი** და **ხ. შვარცი,** სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **გ. ბეი-ბიენკო,** სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **კ. რიჟიკოვი,** პროფესორები **ბ. ყურაშვილი** და **ა. ჩილინგარიანი.**

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ბუნება სწორედ რომ უდიდესი შემოქმედია. საითაც არ უნდა წახვიდეთ ან გაიხედოთ, ზამთარში იქნება ეს თუ ზაფხულში, ყოველთვის შეხვდებით ბუნების ჯადოსნური ხელით შექმნილ საოცრებებს. დაბა ორჯონიკიძიდან ზესტაფონისაკენ მიმავალი მგზავრი აუცილებლად შეჩერდება და აღტაცებულ თვალს შეავლებს ამ კლდეს, რომელიც ზამთარს ასე ლამაზად მოუხატავს ყინულის ლოლუებით.

ფოტო ბ. ხოტოველისა.

„საბჭოთა ხელოვნება“ № 1

გამოვიდა ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ 1971 წლის იანვრის ნომერი. ჟურნალი იხსნება მასალებით, რომლებიც ეძღვნება სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და სომხეთის კომპარტიის შექმნის 50 წლისთავს.

ჟურნალში დაბეჭდილია ჩვენი მხატვრობის, მუსიკის, თეატრის, კინოს და ხელოვნების სხვა საკითხებზე გ. ბოჯგუას, ნ. მამაცაშვილის, დ. შენგელიას, ვ. გურგენიძის, კ. ხუციშვილის, გ. ტორაძის, ნ. გურაბანიძის, გ. თაქთაქიშვილის, ს. ჟიჟიშვილის, ო. ქაჯაიას, ლ. მეტონიძის, ალ. ბარნოვის, ლ. ელიოზიშვილის, ი. უგულავას, ო. ეგაძისა და სხვათა სტატიები, წერილები და ხარკეევები.

თქვენ გელით ბედნიერი ბილეთები

გაიყიდა სსრ კავშირის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების მეექვსე ლატარიის 1971 წლის პირველი გამოშვების მესამემილიონე ბილეთი. ლატარიის ბილეთები წარმატებით ვრცელდება მთელს ქვეყანაში. ორი გამოშვების მიხედვით უნდა გაიყიდოს 80 მილიონი მანეთის ბილეთი. არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ლატარიისაგან შემოსული სახსრები ხმარდება თავდაცვითმასობრივი მუშაობისა და სამხედრო-ტექნიკური სახეობათა სპორტის განვითარებას.

მიმდინარე წლის ლატარიის ორ გამოშვებაში გათამაშდება 3 მილიონ 600 ათასი მოგება, მათ შორის 960 ავტომობილი „მოსკვიჩ-412“ და 640 „ზაპოროჟეც-966“, 44480 მოტოციკლი, მოტოროლერი, მოპედი და ველოსიპედი, 38 ათასზე მეტი სხვადასხვა მარკის მაგნეტოფონი და რადიომიმღები, 18,5 ათასი ნავის მოტორი და რეზინის ნავი. ფულადი მოგების რაოდენობა შეადგენს 3 მილიონ 456 ათასს.

ლატარიის პირველი გამოშვების გათამაშების ტირაჟი გაიმართება 3 იანვარს, მეორისა — 29 ოქტომბერს.

მოგებულ ნივთებს ადგილობრივი საველური ორგანიზაციები გასცემენ მოსკოვში, ლენინგრადში, მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქებსა და სხვა ქალაქებში. (საკდესი).

ავტოშემთხვევა

ასე დაიღუპა ოთხი ადამიანი

ხაშურიდან ორი კილომეტრის დაშორებით ავტოავარიის დროს ოთხი კაცი დაიღუპა.

ახალ „მოსკვიჩში“, რომელსაც სულ რამდენიმე კილომეტრი ჰქონდა გავლილი და რომელიც ჯერ ავტოინსპექციის აღრიცხვაზე არ იყო აყვანილი, ისხდნენ ზესტაფონში მცხოვრებნი — № 5 სამშენებლო-სარემონტო სამმართველოს უფროსი გიორგი მაღრაძე, ამავე სამმართველოს მთავარი ინჟინერი პავლე ხოჭავა, ინჟინერ-მექანიკოსი ალექსანდრე კუპატაძე და შერმან ბლუაშვილი.

საჭესთან მანქანის მფლობელი გიორგი მაღრაძე იყო. მან ყურადღება არ მიაქცია საგზაო ნიშანს, რომელიც კრძალავს გადაჭარბებულ სიჩქარეს, წინ მიმავალი მანქანის გასწრებას, და მოძრაობის წესები დაარღვია. ამ დროს გამოჩნდა სამგზავრო ავტობუსი. ავტობუსის მძღოლმა დაამუხრუჭა მანქანა. მაგრამ „მოსკვიჩი“ იმდენად გადაჭარბებული სიჩქარით მიდიოდა, რომ გ. მაღრაძემ ვერაფერი ვერ მოახერხა და ავტობუსს შეასკდა.

ადგილზევე დაიღუპნენ ზემოთ დასახელებული ადამიანები. დაობლდნენ მათი შვილები და დაქვრივდნენ ცოლები, დამწუხრდნენ ნათესავები, მეგობრები. მოძრაობის წესების ერთი შეხედვით თითქოს უბრალო დარღვევამ ასეთი მსხვერპლი გამოიწვია.

ბ. ახალაძე.

მემორანდუმი

კაირო

3 თებერვალი. (საკდესი). ის გარემობა, რომ ისრაელი დაჟინებით ამბობს უარს შეასრულოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუცია, ავალებს საბჭოს იხმაროს საჭირო ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ იარინგის მისიის საქმიანობას, უზრუნველყოფენ ისრაელის ჯარების გაყვანას ყველა ოკუპირებული არაბული ტერიტორიიდან და შექმნიან საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების საჭირო გარანტიებს.

ეს ნათქვამია არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობის მემორანდუმში, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელს ახლო აღმოსავლეთში გ. იარინგს გადასცა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ეზ ზაიათმა.

მემორანდუმში კვლავ გაუშუქებულია არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მტკიცე პოზიცია ახლო აღმოსავლეთში მშვიდობიანი მოწესრიგების საკითხში.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე ისრაელი დაჟინებით განაგრძობს რეპრესიებისა და არაბი მოსახლეობის განდევნის პოლიტიკას, ქმნის ებრაელ ემიგრანტთა დასახლებებს.

ისრაელის პასუხები, რომლებიც მან იარინგს წარუდგინა, ცხადყოფენ, რომ ტელ-ავივს არ სურს გაიყვანოს ჯარი ყველა ოკუპირებული არაბული ტერიტორიიდან, ხაზგასმით აღნიშნულია მემორანდუმში.

„ელექტროკრიზისი“

ნიუ-იორკი

3 თებერვალი. (საკდესი). წლის დამდეგიდან ნიუ-იორკის ცხოვრებლები უკვე მეექვსედ განიცდიან ელექტროენერგიის ნაკლებობას, გუშინ გამოაცხადეს, რომ შემცირდა ძაბვა საქალაქო ელექტროქსელში.

რადიოთი და ტელევიზიით მოუწოდებენ ნიუიორკელებს არ იხმარონ ელექტროხელსაწყოები, რომლებიც ბევრ ენერგიას ხარჯავენ. სპეციალისტთა შეფასებით, „ელექტროკრიზისი“ გაგრძელდება გაურკვეველი ხნით და, ალბათ, კიდევ უფრო შემცირდება ძაბვა ქსელში. გამორიცხული არ არის, რომ დროებით გამოირთვება ქალაქის ცალკეული რაიონები განმანაწილებელ ქვესადგურებში დიდი ავარიების თავიდან აცილების მიზნით.

ეხება რა კრიზისის მიზეზებს, პრესა წერს, რომ მწყობრიდან გამოვიდა მთავარი კომპანიის „კონსოლიდეიტედ ედისონის“ რამდენიმე გენერატორი და, რომ ნიუ-იორკისათვის მეტისმეტად ცივი ამინდი დგას.

მაგრამ არავისათვის არ არის საიდუმლო, რომ ნიუ-იორკში „ელექტროკრიზისისათვის“ მთავარი ბრალი მიუძღვის „კონსოლიდეიტედ ედისონის“ კომპანიას, რომელიც მოგების გამოდევნების გამო არ არემონტებს მოძველებულ მოწყობილობას.

გზა მთვარისაკენ

ვაშინგტონი

3 თებერვალი. (საკდესი). „აპოლონ-14“ ამერიკული კოსმოსური ხომალდი განაგრძობს ფრენას მთვარისაკენ. დღეს დასვენების პერიოდის დამთავრების შემდეგ კოსმონავტებს აცნობეს, რომ გაუქმდა ფრენის მორიგი კორექცია.

ხომალდის ტრაექტორია რამდენადმე განსხვავდება გაანგარიშებულისაგან, მაგრამ შესაძლოა, გაუქმდეს ხვალისათვის დანიშნული უკანასკნელი კორექციაც, რათა დაზოგონ საბობი დამხმარე ძრავებისათვის. 1 თებერვალს მთვარის კაბინისა და ძირითადი ბლოკის შეპირაპირების ექვსი ცდის დროს კოსმონავტებმა ზედმეტი საბობი დახარჯეს.

დღეს კენედის კონცხიდან გაუშვეს თანამგზავრი ნატოს კავშირგაბმულობის სამხედრო სისტემისათვის. კოსმონავტებს წინადადება მისცეს როგორმე გადაეღოთ თანამგზავრის გაშვება. მათ გადაწყვიტეს გაშვება გადაეღოთ დურბინდით, მაგრამ ეს ცდა ვერ მოხერხდა.

დღეისათვის. დაგეგმილია ორი კოსმონავტის გადასვლა ძირითადი ბლოკიდან მთვარის კაბინაში საბორტო სისტემების შესამოწმებლად, რაც ორ საათს გასტანს. კერძოდ, პირებენ გულდასმით შეამოწმონ შესაპირაპირებელი კვანძი, რომლის უწესივრობამ გაიძულა ძირითადი ბლოკისა და მთვარის კაბინის შეპირაპირება.

კოსმონავტების გადასვლისა და საბორტო სისტემების დათვალიერების დროს მოეწყობა დედამიწასთან სატელევიზიო კავშირის სეანსი.

კოსმონავტების დასვენების მორიგი პერიოდი დაიწყება 18 საათსა და 03 წუთზე.

კოსმონავტები აკვირდებიან „ოფეთქებებს“, რომლებიც „აპოლონის“ წინა ხომალდების ეკიპაჟებმა დაინახეს ფრენის დროს. ვარაუდობენ, რომ ამ „ოფეთქებებს“ მიზეზია კოსმოსური გამოსხივება, რომელიც მოქმედებს მხედველობის ნერვზე.

უ ტანის მოხსენება

ნიუ-იორკი. 3 თებერვალი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა უ ტანმა მოითხოვა, რომ გაგრძელდეს ცეცხლის შეწყვეტა ახლო აღმოსავლეთში.

მან მოუწოდა აგრეთვე ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტის მონაწილე მხარეებს განაგრძონ კონტაქტები გ. იარინგის მისიის ფარგლებში უშიშროების საბჭოს რეზოლუციის განხორციელებისათვის.

უ ტანის მოწოდებას შეიცავს მის მიერ უშიშროების საბჭოსადმი წარდგენილი მოხსენება ახლო აღმოსავლეთში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის გ. იარინგის საქმიანობის შესახებ.

არაბეთ-ისრაელის კონტაქტები გ. იარინგის შუამდგომლობით, აღნიშნულია მოხსენებაში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს საშუალებას აძლევს გამოთქვას „ფრთხილი ოპტიმიზმი“.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲯᲐᲠᲘ

● **წარმატებული იერიშის** შედეგად ლაოსის პატრიოტული ფრონტის ჯარებმა ხელთ იგდეს ქალაქი მუონგსული 160 კილომეტრზე ვიეტნამის ჩრდილოეთით. ქალაქს სტრატეგიულად დიდმნიშვნელოვანი მდებარეობა აქვს ბრინჯით მდიდარ სურების ხეობაში.

● **საშრანგეთის პრეზიდენტმა** ჟ. პომპიდუმ შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ კონფლიქტი ვრცელდება ინდოჩინეთის ყველა სახელმწიფოზე. მან ეს განაცხადა საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს სხდომაზე. პრემიერ-მინისტრის სახელმწიფო მდივანმა ლეო ამონმა ჟურნალისტებს პრეს-კონფერენციაზე განუცხადა, რომ პრეზიდენტმა პომპიდუმ „დაადასტურა საფრანგეთის განსაკუთრებული ინტერესი ლაოსის დამოუკიდებლობისა და ნეიტრალიტეტის შენარჩუნებისადმი“.

● **უგანდის სამხედრო** ხელმძღვანელობის მეთაურმა გენერალ-მაიორმა იდი ამინმა გამოაცხადა უგანდის ახალი მთავრობის შემადგენლობა. ი. ამინმა დაიტოვა სახელმწიფოს მეთაურის, პრემიერ-მინისტრის, თავდაცვის მინისტრისა და არმიის მთავარსარდლის პოსტი. თავდაცვის საკითხთა სახელმწიფო მინისტრად დანიშნულია ა. ოფუმბი, საგარეო საქმეთა მინისტრად — ვ. კიბედი.

● **დამთავრდა ევროპის** ეკონომიური გაერთიანების მინისტრთა საბჭოს სესიის მორიგი სხდომა საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე. დღის წესრიგის მთავარი პუნქტი იყო „საერთო ბაზრის“ ბიუჯეტში ინგლისის ფინანსური წვლილისა და, ესე იგი, ამ გაერთიანებაში დიდი ბრიტანეთის შესვლის გარდამავალი პერიოდის საკითხი. მინისტრების შეხვედრამ მხოლოდ ნაწილობრივ განსაზღვრა მხარეთა პოზიციები, მაგრამ წინ არ წაუწევია მოლაპარაკება „საერთო ბაზარში“ ინგლისის მიღების საკითხზე.

● **ბრაზილიის პრეზიდენტმა** გ. მედიცინ ხელი მოაწერა დეკრეტს, რომელიც კიდევ უფრო ზღუდავს შრომელთა პროფკავშირების საქმიანობას. დეკრეტის შესაბამისად, ბრაზილიის პროფკავშირულ ორგანიზაციებს ეკრძალებათ შეეიდნენ მშრომელთა საერთაშორისო გაერთიანებებში, დადონ მათთან შეთანხმებანი ან იქონიონ კონტაქტები ქვეყნის პრეზიდენტის უნებართვოდ.

საკდესი-შრანს პრესი-რეიტერი-ასოშიეიტედ პრესი.

ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

ფიგურისტთა ჩემპიონატი

ორი დღეა ცურიხის ყინულის მოედანზე სპორტული დავა აქვთ ფიგურულ მოცეკვაურავეებს. ეს არის, ევროპის ჩემპიონატი.

ვაჟთა ასპარეზობაში ყველა სავალდებულო ფიგურის შემდეგ დაწინაურდა ევროპის ორგზის ჩემპიონი, ჩეხოსლოვაკიელი ო. ნეპალა. საბჭოთა სპორტსმენებს ს. ჩიტეველუხინსა და ს. ვოლკოვს თანმიმდევრულად მეორე და მესამე ადგილები უჭირავთ.

2 თებერვალს სავალდებულო პროგრამით გამოსვლები დაამთავრეს წყვილებმა. აქ ლიდერობას ინარჩუნებენ ევროპისა და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონები ი. როდნინა და ა. ულანოვი — 104,8 ქულა, ადგილების ჯამი — 9. მეორე და მესამე ადგილებიც ჩვენს წყვილებს ლ. სმირნოვასა და ა. სუროაიკინს, გ. კარელინასა და გ. პროსკურინს უჭირავთ.

გუშინ წყვილთა ასპარეზობის მონაწილენი გამოვიდნენ ნებისმიერი პროგრამით.

ცეკვებში დაწინაურდა საბჭოთა წყვილი, მსოფლიოს ჩემპიონები ლ. პახომოვა და ა. გორშკოვი.

სულ შეჯიბრებაზე გამოდის 18 ქვეყნის 117 წარმომადგენელი.

„სპარტაკი“ და სკა — ფინალში

დასასრულს უახლოვდება სსრ კავშირის თასის გათამაშება შაიბიან ჰოკეიში. 2 თებერვალს მოსკოვსა და ლენინგრადში გაიმართა ორი ნახევარფინალური მატჩი.

ლენინგრადში ერთმანეთს შეხვდნენ ცსკა-სა და ლენინგრადის სკა-ს გუნდები. წინ იყო ცსკა 3:0, მაგრამ ამის შემდეგ მასპინძლებმა ხელთ იგდეს ინიციატივა და გაიმარჯვეს 7:5.

მოსკოვში თამაშობდნენ ადგილობრივი „სპარტაკისა“ და ვოსკრესენსკის „ხიმიკის“ გუნდები. ძირითად და დამატებით დროში ანგარიში იყო 1:1. მატჩის ბედი გადაწყვიტა ბულიტების ორმა სერიამ. პირველ სერიაში მოწინააღმდეგეებმა თითო შაიბა გაიტანეს, მეორე სერიაში კი „სპარტაკმა“ 2, „ხიმიკმა“ — 1. გაიმარჯვეს მოსკოველებმა 4:3.

ამრიგად, ფინალში გავიდნენ მოსკოვის „სპარტაკისა“ და ლენინგრადის სკა-ს გუნდები.

ლიდერებმა კვლავ გაიმარჯვეს

მოსკოვსა და ვილნიუსში სტარტი აიღო საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრემ კალათბურთში უმაღლესი ლიგის ქალთა გუნდებისათვის.

ყუოადღების ცენტრში იდგა ლიდერების — ლენინგრადის „სპარტაკისა“ და რიგის ტრამვაი-ტროლეიბუსის ტრესტის გუნდების შეხვედრები. სპარტაკელებმა მოსკოვში დამარცხეს კაუნასის „ჰოლიტექნიკა“ 79:62, რიგელებმა კი ვილნიუსში მოუგეს ნეკასტრო